ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №02
2018 წლის 17 იანვარი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების საქმისწარმოების ინსტრუქციისა და უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ნოემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების საქმისწარმოების ინსტრუქციისა და უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ნოემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 05/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016352) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმისწარმოების ინსტრუქციისა და უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელის დამტკიცების შესახებ**“;

ბ) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმისწარმოების ინსტრუქცია“ დანართ №1-ის შესაბამისად.“;

გ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელი“ დანართ №2 -ის შესაბამისად.“;

დ) დადგენილების დანართ №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმისწარმოების ინსტრუქცია**“;

ე) დადგენილების დანართ №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტის) ორგანოების საქმისწარმოების ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზებას და მისი მიზანია მუნიციპალიტეტში საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება.“;

ვ) დადგენილების დანართ №1-ის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დგება ტიპობრივი სახის საქმეთა ნომენკლატურა, „მუნიციპალიტეტის ორგანოების უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელით“ დადგენილი დოკუმენტების ტიპების მიხედვით.“;

ზ) დადგენილების დანართ №2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების უნიფიცირებული დოკუმენტების ტაბელი**“;

თ) დადგენილების დანართ №2-ის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

ეს ტაბელი ადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების უნიფიცირებული ფორმების დარგობრივი ტაბელის დოკუმენტების სახეებსა და მათი გაფორმების სტანდარტებს.“;

ი) დადგენილების დანართ №2-ის მეორე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ბრძანება;“;

კ) დადგენილების დანართ №2-ის მეორე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ვ^1$“ და „$ვ^2$“ ქვეპუნქტები:

„$ვ^1$) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება;

$ვ^2$) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული განკარგულება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ასლან საგანელიძე**
მოვალეობის შემსრულებელი